



შპს "მაგთიკომი"
№ ED-21/11/26-004
26-11-2021 წ.



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბეჭაურს

წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს

ბატონო კახი, ბატონო ვახტანგ, ქალბატონო ნათია, ქალბატონო ეკატერინე,

წარმოგიდგინთ შპს „მაგთიკომის“ შენიშვნებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ - „საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წესის“ პროექტთან (შემდგომში - „პროექტი“) დაკავშირებით, კერძოდ:

1. „პროექტის“ მე-7 მუხლის, პირველი პუნქტი:

„ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტზე კომენტარების წარსადგენად კომისიის მიერ განსაზღვრული ვადა უნდა იყოს სულ ცოტა 30 კალენდარული დღე, რომელიც აითვლება წინამდებარე წესის მე-5 მუხლში მითითებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოქვეყნების დღიდან. ამ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაზე ნაკლები“.

პირველი წინადადებით კომისიამ კომენტარების წარსადგენად განსაზღვრა ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით, ხოლო მეორე წინადადებით (პუნქტის გაბოლდებული ნაწილი) კიდევ ერთხელ თქვა, რომ ეს ვადა არ უნდა იყოს 20 კალენდარულ დღეზე ნაკლები (ზაკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მეორე წინადადება ზედმეტია, ვინაიდან იგი შინაარსობრივად ეწინააღმდეგება პირველ წინადადებას.

2. „პროექტის“ მე-9 მუხლის, მეორე პუნქტის პირველი წინადადება:

„ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს კომენტარების განხილვების ცხრილს დანართი №14.1-ის შესაბამისად. განხილვების ცხრილში მითითებული უნდა იყოს:“

აღნიშნული ჩანაწერით ბუნდოვანია რა ვადაში უნდა მოხდეს კომენტარების განხილვების ცხრილის მომზადება კომისიის მიერ. შესაბამისად, მიგვაჩნია რომ უნდა განისაზღვროს კონკრეტული ვადა, როდესაც მოხდება ამ დოკუმენტის მომზადება კომისიის მიერ და ეს ვადა უნდა იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ეს განსაზღვრულია ზაკ-ის 120-ე მუხლით.

3. „პროექტის“ მე-9 მუხლის, მე-7 პუნქტი:

„კომისია გეპირი მოსმენისა და დადგენილი წესით წარდგენილი ყველა კომენტარის განხილვის შემდეგ შესწორებებს შეიტანს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტში ან უცვლელად დატოვებს მას. კომისია უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ განსახილველი ადმინისტრაციული წარმოების საგნის ფარგლებში. კომისია ახლიდან გამართავს საჯარო კონსულტაციებს ან გააგრძელებს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების და კომენტარების წარდგენის ვადას, თუ დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების გათვალისწინებით ან/და კომისიის ინიციატივით არსებითად შეიცვლება თავდაპირველად გამოქვეყნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი“.

წარმოდგენილი ფორმულირება მიუღებელია შემდეგი არგუმენტების გამო:

- ა) კომისიას უფლება უნდა ჰქონდეს ცვლილებები შეიტანოს პროექტში მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ წარდგენილი კომენტარების ფარგლებში;
- ბ) კომისიის მიერ საკუთარი ინიციატივით (დაინტერესებული მხარეების მიერ წარდგენილი კომენტარების მიღმა) პროექტში ნებისმიერი სახის შინაარსობრივი ცვლილება უნდა იწვევდეს საჯარო კონსულტაციების ვადის გაზრდას ან ახალი კონსულტაციის გამართვას.

ამ არგუმენტების იგნორირებით არსებითად დაირღვევა საჯარო კონსულტაციების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რომ საკონსულტაციოდ გამოტანილი დოკუმენტი იყოს სათანადოდ, სრულყოფილად მომზადებული კომისიის მიერ და ამ წარმოების ფარგლებში არ მოხდეს კომისიის მიერ მასში ისეთი სახის ცვლილებების განხორციელება, რაც არ და ვერ გახდება დაინტერესებული მხარეების განხილვის საგანი. ამასთან, ხშირ შემთხვევაში სიტყვები „არსებითი ცვლილება“ შეიძლება გახდეს კომისიის სუბიექტური შეფასების საგანი და გამოიწვიოს ამ სიტყვების შინაარსის არაგანჭვრეტადობა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი პუნქტის ფორმულირება უნდა შეიცვალოს შემდეგი სახით:

ახალი ფორმულირება:

„კომისია გეპირი მოსმენისა და დადგენილი წესით წარდგენილი ყველა კომენტარის განხილვის შემდეგ შესწორებებს შეიტანს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტში ან უცვლელად დატოვებს მას. კომისია უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ განსახილველი ადმინისტრაციული წარმოების საგნის და მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებების და კომენტარების ფარგლებში. კომისია ახლიდან გამართავს საჯარო კონსულტაციებს ან გააგრძელებს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების და კომენტარების წარდგენის ვადას, თუ დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების გათვალისწინებით არსებითად შეიცვლება თავდაპირველად გამოქვეყნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ან პროექტში კომისიის ინიციატივით განხორციელდება ისეთი სახის ცვლილებები, რომელიც არ ყოფილა მოთხოვნილი ან არ უკავშირდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს და კომენტარებს“.

პატივისცემით,

ანდრია ზოდელავა
გენერალური დირექტორის მოადგილე